# ქართული ენის არცოდნა, როგორც გამოწვევა პოლიტიკურ პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის თვალსაზრისით

**დოკუმენტის მიზანია** განსაზღვროს ეთნიკური უმცირესობებისთვის პოლიტიკური ინტეგრაციის შემაფერხებელი მიზეზები და მოგვარების გზები. დასაკვირვებლად შერჩეული იქნა საქართველოში ორი ყველაზე დიდი ეთნიკური უმცირესობების ჯგუფი - **სომხური და აზერბაიჯანული თემი** (საქსტატი,2022).

# სომხური და აზერბაიჯანული თემის პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართულობის დაბალი მაჩვენებლის მიზეზები და ეფექტები

## ეფექტები / შედეგები

ლეგიტიმაციის დაბალი დონე

დემოკრატიის შეფერხება

ევროინტეგრაციის შეფერხება

მიგრაციული პროცესები

ეთნიკური უმცირესობების სოციალურ-პოლიტიკური უფლებების დაცვის პრობლემა

საარჩევნო პროცესის დამახინჯება

დასაქმების დაბალი დონე

ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი

## გამომწვევი მიზეზები

- პოლიტიკური პარტიებისადმი დაბალი ნდობა (ISSA. 2019)
  - მოსახლეობის 46% - პარტიები არ ასახავენ ეთნიკური უმცირესობების რეალურ საჭიროებებს (ISSA 2019), სუსტია ადგილობრივ დონეზე მათი მუშაობა
- სამოქალაქო აქტივისტების მარგინალიზაცია
  - პარლამენტისა და მთავრობის დონეზე აქტივისტებისთვის არ არსებობს დემოკრატიული საკონსულტაციო მექანიზმები
- ენის ბარიერი
  - განათლების დაბალი ხარისხი
- პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის მოტივაციის არ ქონა
  - პოლიტიკური ანტაგონიზმი
  - ინტეგრაციისა და მონაწილეობის ფორმალური მიდგომა
  - ეთნიკური უმცირესობებისთვის ხელმისაწვდომ ენაზე ინფორმაციის მიწოდების პრობლემა

რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობისა და სახელმწიფო ორგანოებთან კომუნიკაციისთვის ხელშემშლელ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს **ეთნიკური უმცირესობების მიერ ქართული ენის არ ცოდნა.**

## ეთნიკურ უმცირესობებში ქართული ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების ალტერნატივები:

- *ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში სკოლებისა და საბავშვო ბაღების ხაოდენობის გაზრდა;*
- *ეთნიკური უმცირესობებისთვის ზოგადი სასწავლო პროგრამის შემუშავება;*
- *ეთნიკური ჯგუფებისთვის სახელმძღვანელოების შემუშავება და მასწავლებლების გადამზადება.*

პრობლემის გადასაჭრელად **უმჯობეს პოლიტიკურ კურსად** განისაზღვრა **ეთნიკური უმცირესობებისთვის სახელმძღვანელოების შემუშავება და მასწავლებლების კომპეტენციის გაზრდა.**

## რეკომენდაციები:

- შერჩეული პოლიტიკური კურსის შესრულებისა და მისი შედეგების მონიტორინგი პერიოდულად უნდა განხორციელდეს. მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს დაკვირვება თუ, როგორ აისახა სომხურ და აზერბაიჯანულ თემში სახელმწიფო ენის დონის ზრდა პოლიტიკურ პროცესებში მათ ჩართულობაზე.
- განათლებისა და სახელმწიფო სტრუქტურების კოორდინაციით უნდა შეიქმნას საპილოტე სახელმძღვანელოები, რომლებიც ეტაპობრივად დაინერგება ეთნიკური უმცირესობების სკოლებში.
- ჯგუფებად უნდა განხორციელდეს მასწავლებლების გადამზადება (საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფები). ეს განათლების სამინისტროს მისცემს შესაძლებლობას იყოს მეტად მობილური და პოლიტიკის განხორცილების პროცესში შექმნილ გამოწვევებს ოპერატიულად უპასუხოს. რესურსების გადანაწილებისა და ტრანსფორმაციის მონიტორინგისთვის მნიშვნელოვანია სამიზნე ჯგუფებისა და ბენეფიციარები შეფასებების გაგება.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

### შენიშვნა:

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით და შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

მასალა მომზადდა პროექტის, „ახალგაზრდების ჩართულობისა და მენტორინგისთვის საჯარო პოლიტიკის საპილოტე ინიციატივები“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) და მისი შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას.